ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1649199

ნომერი: AR1270862

თარიღი : 05.12.2014

გაცემის თარიღი : 19.12.2014

გაცნობის თარიღი : 19.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 49ა / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 49 , მიმდებარედ ნაკვ.08/094 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ალექსანდრე სამარგულიანი პ/ნ 01024032511
- თბილისი საბურთალოს ქ. N 40 კორ. 2 ბ. 21

ორგანიზაცია:
- იპოდრომი-2 კოდი: 404954126

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.08.2013 წ. #865910 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 05.12.2014 წ. #AR1270862 განცხადებით მომართეს ალექსანდრე სამარგულიანმა და გიორგი თავდიშვილმა და მოითხოვეს 26.08.2013 წ. #865910 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა,

კერძოდ საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის, საკადასტრო კოდისა და კონფიგურაციის შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 26.08.2013 წ. #01.14.07.008.099 (ფართობი: 4887 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულზე მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი) აშენების მიზნით დამტკიცდა #865910 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონაა: საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1) და სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1). ამავე სამსახურის 05.06.2014 წ. #1312723 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში. განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.14.07.008.110, ფართობი-4887 კვ.მ.), რომლის თანახმადაც საკადასტრო შეცვლილია მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი, ფართობი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.08.2013 წ. #865910 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი №01.14.07.008.110, ფართობით: 4887კვ.მ.);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.08.2013 წ. #865910 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს - 4887 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს - #01.14.07.008.110;
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 26.08.2013 წ. #865910 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს დამატებითი დოკუმენტები:
   - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის ოქმი #ო-530 (18.12.2014წ.);
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.08.2013 წ. #865910 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და ამავე სამსახურის 05.06.2014 წ. #1312723 ბრძანებასთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.